# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 31

## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ქ. საჩხერეში 2019 წლის 31 მაისს

ერთის მხრივ, ა.(ა).ი.პ. „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის მარიამ გოგობერიშვილის სახით (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ, შ.პ.ს „საჩხერის კინოს“ დირექტორის ავთანდილ ნოზაძის სახით (შემდგომში-მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ა.(ა).ი.პ. „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით ფილმის ჩვენების მომსახურების ( **CPV92100000 კოდით** ) შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული წესით.

### 2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია ფილმის ჩვენების მომსახურების (CPV9120000000000 ) შესყიდვა ა.(ა).ი.პ „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღისათვის“.

### 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება განისაზღვრება **260,00 (ორასსამოცი)** ლარის ოდენობით.

### 4. შესყიდვის ობიექტი მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ერთდროულად. 2019 წლის 1 ივნისს.
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. საჩხერე.

### 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიმწოდებლის მიერ ამოწერილი სათანადო დოკუმენტით. მიღება-ჩაბარების აქტი დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

### 6. ანგარიშსწორების წესი, ვადები და ადგილი

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
6.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება შესაბამისი დოკუმენტების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
6.4 ანგარიშსწორების ადგილია ქ. საჩხერე.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
- წერილობით აცნობოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზრაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4 მიმწოდებული ვალდებულია:
- გააფრთხილოს შემსყიდველი მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებული იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4 ხელშეკრულების გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2019 წლის 1 ივლისის ჩათვლით.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვს შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
10.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება დაუყონებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეებს შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 12. სხვა პირობები

12.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
12.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
12.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
12.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
12.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

## 13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**შემსყიდველი:**

ა.(ა).ი.პ. „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი“
საიდენტიფიკაციო კოდი: 239396346
მის: ქ. საჩხერე, თავისუფლების ქ№3
სახელმწიფო ხაზინა
ერთიანი ანგარიში
ტელეფონი: 995 99 11 57 51

**მიმწოდებელი:**

შ.პ.ს „საჩხერის კინო“
საიდენტიფიკაციო ნომერი: 439392239
მისამართი: ქ. საჩხერე, თავისუფლების ქ#17
საბანკო რეკვიზიტები
„საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი:GE62BG0000000888606800
ტელეფონი: 558 26 02 03

ა.(ა).ი.პ. „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“
დირექტორი:

მ. გოგობერიშვილი

SACHKHERE UNITED KINDERGARTEN
Digitally signed by SACHKHERE UNITED KINDERGARTEN
Date: 2019.05.31 02:21:07 +07'00'

შ.პ.ს „საჩხერის კინოს“
დირექტორი:

ა. ნოზაძე